სტრიტ არტის საკონკურსო დებულება

1.ზოგადი დებულებები:

1.1 კონკურსის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სრულწლოვან ფიზიკურ პირებს პროფესიონალ და მოყვარულ მხატვრებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.

1.3 კონკურსში მონაწილეობა ნიშნავს ავტორის თანხმობას ესკიზის ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში გადაცემის.

1.4 კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არა ნაკლებ ერთი კონკურსანტის მონაწილეობის შემთხვევაში.

1.5 კონკურსის ჩატარების ადგილი - ქალაქ ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

2. კონკურსის მიზანი:

2.1. კონკურსის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი მხატვრები (მოყვარულები და პროფესიონალები) და ხელი შეუწყოს ქუთაისში სტრიტ არტის განვითარებას.

2.2. ამჟამად ქალაქში არსებული უსახური კედლებისათვის ახალი იერსახის მიცემა.

3. კონკურსის თემა:

- სულხან-საბას 89 (ახლად რეაბილიტირებული სკვერი)
- ✓ კედელი უნდა მოიხატოს ოლიმპიური სიმბოლიკებითა და პიქტოგრამებით (ოლიმპიური ცეცხლი, ოლიმპიური გარბენის სილუეტური გვირგვინი, ოლიმპიური ქალღმერთი და სხვა.)
- ✓ ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სურათები (სილუეტური პორტრეტები)
- ზურაბ კუხიანიძის სახელობის სკვერში არსებული კედლის მოხატვა მისივე შემოქმედების გაცოცხლებით.

4. კონკურსის ჩატარების პირობები:

4.1 აღსანიშნავია, რომ კონკურსზე წარმოდგენილი ესკიზი, კონკრეტულად ამ პროექტისთვის უნდა იყოს შექმნილი.

4.2 კონკურსანტებმა ნამუშევრები თავისი ანოტაციით უნდა გამოაგზავნონ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ელ.ფოსტაზე contact@kutaisi.gov.ge-ზე, ასევე, პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა.

4.3 ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3.

4.4 სტრიტ არტის კონკურსი ცხადდება ერთ ტურად. სამუშაო ენა ქართული.

4.5 ჟიურის აქვს უფლება ესკიზები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებში მითითებულ პარამეტრებს, არ განიხილოს კონკურსში მონაწილეობისთვის.

4.6 კონკურსის გამარჯვებულები სპეციალურ შეტყობინებას მიიღებენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4.7 კონკურსის ორგანიზატორებისგან შეტყობინებას მიიღებენ ასევე კონკურსის მონაწილეებიც, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ.

5. საკონკურსო კომისია:

5.1 საკონკურსო კომისია დაკომპლექტდება პროფესიონალებისგან - მხატვრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

6 შეფასების კრიტერიუმები:

6.1 კონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასებას ახდენს კომისია. გამარჯვებულების გამოვლენისას კომისია იხელმძღვანელებს საკონკურსო ნამუშევრის მხატვრული ღირებულებით და კონკურსის თემასთან ესკიზის შესაბამისობის ხარისხით.

6.2 ასევე გათვალისწინებული იქნება:

-იდეის ორიგინალურობა (ხარისხი, კრეატიულობა)

-ესკიზის შესრულების ტექნიკური დონე და მხატვრული გადაწყვეტა;

-შესრულების სიზუსტე

-უსაფრთხოება (მუშაობის პროცესში)

6.3 შეფასება მოხდება 5 ბალიანი სისტემით

7. კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი:

კონკურსი გამოცხადდება: 2022 წლის 21 ივლისიდან;

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2022 წლის 5 აგვისტო;

კომისიის სხდომა შედგება 2022 წლის 8 აგვისტოს.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 8 აგვისტოს ჟიურის მიერ კენჭისყრის დასრულებისთანავე.

8. დაჯილდოება:

8.1. კონკურსის შედეგები გამოცხადდება კულტურის,სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ფეისბუქ გვერდზე.

8.2. ჯილდოს ოდენობა თითოეული გამარჯვებული ესკიზის ავტორისთვის შეადგენს 1500 ლარს (საშემოსავლო და საპენსიო გადასახადების გარეშე);

9. დროებითი კომისიის მუშაობის წესი:

9.1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

9.2 კომისიის წევრს არ აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება.

9.3 გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრის გზით.

9.4. გამარჯვებულად ცხადდება ის ესკიზი, რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას.

9.5. თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9.6 კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

9.7 დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

9.8 ჟიურის მიერ ხელმოწერილ ოქმი დასამტკიცებლად წარედგინება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე:

ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, IV სართული

კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ტელეფონები: 579 100 200; 599 701 082;

ელექტრონული ფოსტით მისამართზე: ***cesy@kutaisi.gov.ge***

Ioseb Khakhaleishvili

Digitally signed by Ioseb Khakhaleishvili
Date: 2022.07.21 11:42:27 +04'00'